სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“

#21 საერთო კრების მოწვევის შესახებ

გადაწყვეტილება

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, კ.ხეთაგუროვის ქ., N36) 2024 წლის 2 თებერვლის №15/2024 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტის, ასევე მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 184-ე მუხლის 1 პუნქტის „ზ” და „თ“ ქვეპუნქტების, ასევე 195-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყდა:

მოწვეულ იქნეს საზოგადოების მორიგი/წლიური საერთო კრება **2025 წლის 5 დეკემბერს, 14:00 საათზე, დისტანციურ ფორმატში.**

1. საერთო კრების დღის წესრიგით განისაზღვროს შემდეგნაირად:

   i. სენბის განთავსებული კაპიტალის ცვლილება;
   ii. სენბის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ცვლილება;
   iii. სენბის სადამფუძნებლო შეთანხმების ცვლილება.

2. საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვროს **2025 წლის 1 დეკემბერი,** გასათვალისწინებელია, რომ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან;
3. საერთო კრება ჩატარდება ონლაინ ფორმატში, კენჭისყრა ხორციელდება ღია ხმის მიცემის მეშვეობით, საერთო კრების ოქმში აისახება კენჭისყრის შედეგები;
4. საერთო კრების დანიშვნის შესახებ აქციონერებს ეცნობება პირადად, ასევე ელექტრონულ მისამართებზე გაეგზავნებათ კრების მოწვევის შესახებ წინამდებარე გადაწყვეტილება და დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტები.
5. კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე და სენბის ვებ-გვერდზე.

ირაკლი გალდავა
გენერალური დირექტორი

Irakli Galdava 01024051256

Digitally signed by Irakli Galdava
Date: 2025.12.01 15:55:46